კლდე

№ 10

9 მარტი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მესამე

მის-მართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ეროვნული

სარჩევი:

1. ტერიტორიის' საკითხი.—**ა—ისა.** 2. საქართველოს ბუნების შესწავლა-გამოკვლევა.—**თრითინასი.** 3. ჩემი სამშობლო.—**დ. კასრაძისა.** 4. ორი თვის ისტორია.—**ნაცარასი.** 5. არჩევნების ნიმუში.—*,*—სა. 6. პრესა. 7. ქ-ნ ნიტო შარაშიძის ლექციაზედ.—**რაესი.** 8. ველისც. წ.-კ. ანგარიში.—**გ. წინამძღვრიშვილისა.** 9. მოწოდება.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე“-ზედ.

ფასი:	1 წლით	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ტერიტორიის საკითხი

ჩვენ ბრავლად გვყვანან პოლიტიკური რეგვენები, რომელთაკ ტერიტორიალური საკითხი ლამის ეთიკისა და დემოკრატიზმის საკითხად აქციონ. ჯერ კიდევ კარგად ვერ ძოასწრეს ჩვენმა ფედერალისტებმა ვიდაც „პოლონელ ნაციონალისტ“ იანკოვსკის წიგნიდგან იმის ამოკითხვა, რომ თანამედროვე პოლონეთი წინააღმდეგია დაიცვას ისტორიული საზღვრები და უკვე თეორია გამოაცხეს ტერიტორიალობისა. მარტოოდენ ერთ იანკოვსკის წიგნზედ დამყარება და ცარიელის მიმზგავსეობით ამ თეორიის შექმნა ისეთი საფრთხეა ერისთვის, ისეთი რეგვენობა და ამასთანავე ისეთი თავგასულობაა ამ გულ-ნამცეცა პოლიტიკოსებისა და ქონდრის პატრიოტებისა, რომ ყოველი პატიოსანი მამულიშვილი მოვალეა რისხვით შეხვდეს მათ ასეთს უტიფრობას.

მათ საიდგანღაც შეიტყეს, რომ პოლონეთში „თვით ულტრა ნაციონალისტებიც-კი წინააღმდეგნი ყოფილან“ პოლონეთის ისტორიულ საზღვრების დაცვისა და უკვე ფრთები შეისხეს. რაკი თანამედროვე პოლონელი კიევისა და ჟიტომირის გუბერნიებს უკვე პოლონეთად აღარა სთვლის, მათ წარმოიდგინეს, რომ იგივე პარალელი არსებობს საქართველოს შუაგულსა და ახალქალაქის მაზრას შორის და ხელს იღებენ ისეთ რამეზედ, რაც ფედერალისტებს კი არა, არამედ ერს ეკუთვნის.

„მწარე ცრემლებით ვსტირით — ამბობს „სახალხო გაზეთი“, რომ ახალქალაქის მაზრა, ეს ოდესღაც სავანე ქართულის კულტურისა, დღეს მარტო ნაშთებითა და ნანგრევებით მოგვაგონებს საქართველოს, გული გვეწვის, მაგრამ უნდა შეეურიგდეთ იმ აშკარა ფაქტს, რომ ეს მაზრა დღეს აღარაა ქართველებისა.“ ამრიგად ეს „მუხლ-ცრემლიანი და თვალ-მოდრეკილი“ პატრიოტები ჰგლოვობენ იმას, რაზედაც ხელს იღებენ და ხელს იღებენ იმაზედ, რაზედაც ჰგლოვობენ.

როცა ყველა ამას კითხულობ, როცა კითხულობ ასეთ პოლიტიკურ უზნეობას, საქართველო წარმოგვიდგენია მაშინ „გადატრიალებულ ფაუსტად“ და მისი წმიდათა-წმიდა კი მარგარიტად, რომლის გაუპატიურებულ გვამის გარშემო ოპერეტული ვალენტინები ბუქნას უვლიან. სად არის აქ გონება, სად არის აქ ალფრთოვანებული აზრი მომავალის შემოქმედებისა?! „ჩვენ ვემხრობით და ვიცავთ რეალურ საქართველოს, იმიტომ რომ გვიყვარს ამ საქართველოს რეალური (?) მკვიდრი ხალხი“ — ამბობს იგივე გაზეთი და ვერა გრძნობს, თუ როგორ გაურბის იგი ამ სიყვარულს. მამულის სიყვარული ფედერალისტების ამ ტირადაში კი არ გამოიხატება, არამედ იმ ბიბლიურ გადმოცემაში, სადაც ლოტის ცოლს სიკვდილის მუქარით აკრძალული ჰქონდა სოდომისთვის უკან გადაეხედა, მაგრამ სიყვარული ამ ქალისა ამ გახრწნილ სამშობლო ქალაქისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერ მოითმინა, მიხედა და იმ ადგილას ლოტის ცოლის ნაცვლად მარილის სვეტი კი აღიმართა. აი სად არის ნამდვილი სიყვარული სამშობლოსი და არა იმაში, რომ ფედერალისტები ისე გამორბიან ახალქალაქის მაზრიდან, რომ უკან აღარც კი იხედებიან ამ „ოდესღაც ქართულ კულტურის სავანისაკენ.“ გამოქცევისთვის საჭირო არ არის არც პატრიოტიზმი, არც გმირობა, ამისთვის უბრალო ლაჩრობაც საკმაოა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სკრუპულს „სახალხო გაზეთი“ როცა ამბობს, რომ პოლონელი ნაციონალისტები უარჰყოფენ ისტორიულ ტერიტორიას. ჩვენ იმაშიც ეჭვი შეგვაქვს, რომ „სახალხო გაზეთს“ წაეკითხოს „პოლონელ ნაციონალისტ“ იანკოვსკის წიგნი „პოლონელი ხალხი და მისი სამშობლო“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სახალხო გაზეთმა“ მხოლოდ რეცენზია წაიკითხა ამ წიგნის შესახებ, რომელსამე სატახტო გაზეთში და ის გადმობეჭდა. სწორედ ამით აიხსნება ის უცოდინარობა, რომ გაზეთმა ის კი გამოაცხადა რომ პოლონელები ისტორიულ საზღვრებს აღარ იცავენო და ის კი აღარა სთქვა, თუ რომელ ისტორიულ საზღვრებს. ვინც ცოტაოდენად მაინც იცნობს პოლონეთის წარსულ ისტორიას, ის დაგვეთანხმება, რომ პოლონეთის ისტორიული საზღვრები სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ადგილას იდო. პოლონეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში იყო ისეთი მომენტები და ხანგრძლივიც, როცა მისი საზღვრები დნეპრის ნაპირებამდის მიდიოდა. ნაბეკარ ბოლოროსია, მთელი ზაპოროჟიე, ყირიმის მიდგმა აღმოსავლეთ სამხრეთის საზღვრები იყო პოლონეთისა ერთ დროს. დასავლეთით — პოლონეთი ხშირად კარპატებამდის მიდიოდა. ეს იყო პოლონეთის საზღვრები, მაგრამ ამ ადგილებში თვით პოლონელი ერი არ სცხოვრობდა. რა უნდა იყოს აქ გასაკვირველი, რომ თა-

ნამედროვე პოლონელმა ამ ,,ისტორიულ საზღვრებზედ'' ხელი აიღოს. რად უნდა იყვეს გასაკვირველი, რომ თანამედროვე პოლონელი ყირიმს აღარ ეპოტინება ან რად უნდა ჩასთვალონ ასეთი ფაქტი ჩვენმა ფედერალისტებმა ისეთ ფაქტად, ვითომც ,,პოლონელი ნაციონალისტებიც-კი" რეალურ მოსახლეობის პრინციპის მომხრენი არიანო.

თუ ასეთი იყო პოლონეთის სამფლობელოთა საზღვარი, სამაგიეროდ სულ სხვა იყო ნამდვილი და ისტორიული საზღვარი საკუთრად პოლონეთისა. ეს იყო ის ადგილი, ის ტერიტორია, სადაც თვით პოლონელები სცხოვრობდნენ, სადაც ბატონობდა მათი საშოქალაქო კანონი, მათი ეკლესია, მათი ენა, მათი კულტურა და ეს საზღვრები არც ისე ვიწრო იყვნენ. ნამდვილ პოლონეთში არაპოლონელებიც ბლომად იყვნენ და ეხლა ხომ უფრო გართულდა ეთნიური შემადგენლობა პოლონეთისა. ჩვენ ვიცით რომ იქ სცხოვრობენ ებრაელები, ჩვენ ვიცით, რომ იქ სცხოვრობენ რუსები (ხოლმი) და სხვანი, მაგრამ ,,სახალხო გაზეთი'' ვერ მიგვითითებს ვერც ერთ ,,ნაციონალისტ'' იანკოვსკიზედ, რომელიც ამ ფარგლებში იყვეს წინააღმდეგი პოლონეთის ისტორიულ ტერიტორიისა. პირიქით მთელი პოლონეთის ცხოვრება იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთით პრუსიამ შეჰქმნა პოზნანში მთელი გერმანული მაზრები და აღმოსავლეთით რუსეთმა რუსული მაზრები—პოლონეთი სასტიკად იბრძოდა და სასტიკად ერეკებოდა როგორც გერმანელებს პოზნანში (იხილე პროფ. ბერნჰარდის ,,ბრძოლა პოლონელთა''...) აგრეთვე რუსებს ხოლმში (გაიხსენეთ ეპისკოპოს ევლოგის მოღვაწეობა და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო), ამ შედარებიდან მკითხველი ადვილად დაინახავს, რის მომხრეა თანამედროვე პოლონეთი ტერიტორიის საკითხში და რის წინააღმდეგი. იგი ხელს იღებს და ასეც უნდა იყოს, არა ისტორიულ საზღვრებზედ, არამედ **ისტორიულ სამფლობელოებზედ** და მომხრეა ისტორიულ საზღვრებისა საკუთარ პოლონეთის ტერიტორიისა, მაშინაც კი, როცა ამ პოლონურ ტერიტორიაზედ უცხო თესლები სცხოვრობენ.

როდესაც ,,სახალხო გაზეთს'' პარალელი გაჰყავს პოლონეთის ტერიტორიასა და საქართველოს ტერიტორიას შორის, ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ რანაირი ისტორიული საზღვრები არსებობს საქართველოსი და რას ეტრფიან ნაციონალისტები, ან ჩვენი ქონდრის პატრიოტნი—სახალხოელნი.

საქართველოში ტერიტორიის საკითხი დაახლოვებით იმავ პირობებში იმყოფება, როგორც პოლონეთში. საქართველოსაცა აქვს თავისი ისტორიული საზღვრები, ესე იგი საზღვრები მის ყოფილ სამფლობელოებისა. ასეთ ,,ისტორიულ საზღვრების'' თანახმად, ყარსის ოლქიც საქართველოში უნდა შემოდიოდეს. მაგრამ ასეთ ისტორიულ ტერიტორიას ჩვენ'ში ეხლა არავინ ითხოვს, არავინ იცავს და თუ იცავდა ვინმე, ესეც იგივე ფედერალისტები იყვნენ, მაგრამ არა ეხლა, არამედ ცოტა იმაზედ ადრე, ვიდრე ,,პოლონელ-ნაციონალისტ'' იანკოვსკის წიგნს წაიკითხავდნენ და აზრს შეიცვლიდნენ. მაგრამ არსებობს საქართველოს სხვა საზღვრები, ნამდვილი რეალური ტერიტორია, რომელსაც ფლობს ქართველი ხალხი. ახალქალაქის მაზრა, რა თქმა უნდა, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზედ გამონაკლისს შეადგენს. იქ ქართველობა აღარ სცხოვრობს, მაგრამ ჩვენ მაინც მას ქართულ ტერიტორიად ვსთვლით და თან ვხსნით კიდეც რატომ უნდა იყოს იგი ქართულ ტერიტორიად. საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობაზედ, ჩვენისავე სიბრიყვით, მარტო ის ვიცით, რომ ეს ქვეყანა მთა-გორიანია და ეს მთა-გორები ლამაზი არიან. მაგრამ ჩვენ არ ვიცნობთ არც სიმცირეს ჩვენის მიწისას, არც რაოდენობას მის გეოგრაფიულ მანძილებისას. ჩვენ არა გვაქვს არავითარი წარმოდგენა, თუ რა პროპორციით იზრდება ის მასა ხალხისა, რომელიც მაზედ სცხოვრობს და რამდენად გამოსაყენებელია ამ მასისთვის ყოველი გოჯი საქართველოს მიწისა. ბავშვობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თუ ეხლა იმერეთში შიმშილობაა, ეს მარტო გვალვის ბრალია. შეამცირეთ იმერეთში სამჯერ მოსახლეობა და ვერავითარი გვალვა ასეთ შიმშილობას ვერ გამოიწვევს. რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან?—საქართველო აივსო ხალხით, მას არ ჰყოფნის ადგილი. ეს მოვლენა ახლო მომავალში უფრო დიდ გადასახლებას გამოიწვევს და როგორ გვონიათ, საით უნდა წავიდეს ხალხი? აშკარაა იქით, საითაც უფრო ბუნებრივია ამ გადასახლების გზა. ჩვენ ვერ წავალთ შავ ზღვას იქით, ჩვენ ვერ გადავალთ კავკასიონის ქედს და თავისთავად ერთად-ერთი ბუნებრივი გზა გამრავლებულ ქართველობისა ჩვენი სამხრეთის პროვინციებია, სწორედ ეს ,,ისტორიული და არა რეალური საქართველო''. ,,სახალხო გაზეთს'' კი

ჰგონია, რომ ეს იმპერიალიზმია; მაგრამ ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, თუ რა წარმოდგენისა ყოფილა საზოგადოთ ეს გაზეთი იმპერიალიზმზედ.

შესაძლებელია ყველა ამის შემდეგ ქართველი ხალხი მართლა რეალურ მოსახლეობის პრინციპს დაადგეს და თავისად არ ჩასთვალოს ის პროვინციები, რომელზედაც დღეს დღეობით უცხონი მოსახლეობენ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა! *) და რომ მართლაც ეს უცხონი დროებით მოსახლენი არიან ჩვენს ტერიტორიაზედ, ამისთვის საჭიროა ქართველობა ზერელეთ მაინც გაეცნოს თუ გინდ იმავ ახალქალაქის მაზრას, რომელიც სამუდამოდ გამოიტირეს ფედერალისტებმა. 1829 წლამდის ახალქალაქის ახლანდელი მაზრა ახალციხესთან ერთად ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენდა. ამ პროვინციებში უმთავრესად ქართველობა სცხოვრობდა; როდესაც რუსეთმა შემოიერთა იგი, მთელი ქართველი მაჰმადიანობა ყარსის მხარეს გადაიხვეწა, რომელიც მაშინ ისევ ოსმალოს ეკუთვნოდა. ამის მიზეზი რელიგიური შიში და ფანატიზმი იყო. მაჰმადიანობა დაშინებული იყო, რუსებს მათ გაქრისტიანებისთვის არ მიეყო ხელი. ას წლობით ნასახლი ქართველი მაჰმადიანობა ყველაფერს სტოვებდა, ადგილს, სახლ-კარს და სამუდამოდ ემშვიდობებოდა თავის სამშობლოს. დაცარიელებულ ადგილებს პირველად, როგორც მოსალოდნელი იყო, ხაზინა დაეპატრონა, მაგრამ მისთვის სრულიადაც არ იყო სასარგებლო მთელი მაზრა ნაოხარად დარჩენილიყო. ცალკე სახელმწიფო ფისკი, ცალკე მაშინდელი პოლიტიკა აიძულებდა მას ადგილებისთვის ახალი მკვიდრი მოეპოვებინა. სომხის ელემენტი საუკეთესო მასალად გამოდგა, როგორც ამ ფისკისთვის, ისე ამ პოლიტიკისთვის. გარეკა ქართველებისა და ჩასახლება სომხებისა, აი, რითი ხელმძღვანელობდა მაშინვე რუსეთი და ეს საქმე მან ბრწყინვალედ შეასრულა. აუარებელმა სომხობამ იწყო მოდენა ოსმალეთიდან, აუარებელმა სომხობამ დაიჭირა მზა-მზარეული, გაწყობილი მხარე საცხოვრებლად. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ბევრს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ეს ადგილი ისტორიული სომხეთის ნაწილია და იმით აიხსნება სომხურ ელემენტის ჭარბობა სხვებზედო.

მას აქეთ, რასაკვირველია, თითქმის ასმა წელმა გაიარა და ასი წლის წინად გადმოსახლებული სომხობა ისე გრძნობს თავს ახალქალაქის მაზრაში, როგორც თავის სამშობლოში, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ამ ასი წლის განმავლობაში იურიდიული უფლება სომხებისა ამ ადგილებზედ დიდათ არ შეცვლილა. დიდი უმრავლესობა მოკლებულია იქ საკუთრებას და სახაზინო ადგილებზედ სცხოვრობს. გვაქვს რა მხედველობაში ის რომ სომხები ყველაზედ ნაკლებ მიწაზედ არიან გამაგრებულნი, რომ სომხებს, როგორც მმოძრავ ერს, უძრავ ინვენტარზედ უფრო, მმოძრავი ინვენტარი უყვარს, ჩვენ არ ვიცით რა მოხდება მაშინ, როცა მთავრობა მათ დაუსაკუთრებს ამ მიწებს. ჩვენ არ ვიცით, რა ზომამდე მივა სყიდვა-გაყიდვა ამ ხაზინის აპეკისაგან განთავისუფლებულ მიწებისა. და როდესაც ეხლა ქართველ ხალხს ვეუბნებით ამოირეცხე შენი გულიდან ახალქალაქის მაზრა, ზურგი შიაქციე მას, ის შენ არ გეკუთვნისო, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნურად უსპობთ საშუალებას, იმანაც მიიღოს მონაწილეობა ამ თავისუფალ კონკურენციაში და ახალ მიწების შეძენაში?!

ა—ი.

*) მხოლოდ „სახ. გაზ.“-ის მუსდიცისტები ვერ ამჩნევენ, თუ რამდენს სამიხედს უსამართლობას შეიცავს და რამდენს ნამდვილ ქართულ კუთხეს და ქალაქს გამოჰგვაცდის ეს „რეალურ მოსახლეობის პრინციპი“!!

რედ.

საქართველოს ბუნების შესწავლა-გამოკვლევა

ხშირად გვესმის: „ჩვენი სამშობლო მდიდარია სხვა და სხვა მინერალური სიმდიდრით, მაგრამ პატრონი არა ჰყავს ჩვენ ხალხს, და ეს სიმდიდრე საიდუმლოდ დაფარული სძევს, ღრმად, დედამიწაში.“ უკანასკნელ ხანში პრესაშიაც იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ეს და ეს მადანი გამოჩენილა, „ასეთი და ასეთი ბრჭყვიალა ქვა არის და მუშასაც სჭრისო“ და სხვა ამისთანა.

ჩვენი მემამულენი ერთი საერთო სენით არიან დაავადმყოფებულნი: ვერ მოსწრებიან იმ „სანატრელ დროს“, როცა მამულს მიჰყიდიან ვინმე უცხო ტომის წარმომადგენელს და საქეიფო ფულებს ჯიბეში ჩაიჩხრიალებენ. შრომისთვის მათ დრო და

ხალხისი არა აქვთ; ინტენსიური მეურნეობა მათ ხოლერად ეჩვენებათ. და აბა ერთი მითხარით, რაში ეინტერესებათ, თუ იმის მამულში სადმე რამე მადანი იყოს?; ოღონდ კი ფულები იყოს, რომ გორგიჯანოვის შანტანში გაფლანგოს, და დანარჩენი თუნდ წყალსაც წაუღია. გული გემღვრევა, როცა ჰხედავ, რომ ჩვენი დაუდევრობით და ფუქსავატობით გვეკარგება ყველაფერი: ენა, კულტურა, ტერიტორია, ხალხის კეთილ-დღეობა. რომ ჩაუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას, ბევრს სასაცილო ელემენტს შეხვდებით ჩვენ ტრაგიკულ მდგომარეობაში. რაღა მეტი სასაცილო ფაქტი გინდათ, ჩვენ გაჭირვებამ შემხუთავ კუთხეში მიგვაგდო და უცხოეთიდან მოსული ხალხი კი ფუფუნებაში იმყოფება. ერის სიმდიდრეს თავს დავტრიალებთ, და ვერ შეგვიგნია რაში მდგომარეობს სიმდიდრე ჩვენის სიზარმაცით და ყურმიგდებულობით. ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ ჩვენი კეკლუცი სამშობლოთი, მაგრამ მის ბუნებას სრულებით არ ვიცნობთ. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მემამულენი პირში ჩალა გამოვლებულნი რჩებიან ხოლმე, როცა ხედავენ უცხოელების მილიონებით კოჭაობას ქართველთა მიწა-წყალზედ; შორს რად წავიდეთ ანდრეოლეტის ქარხანა მაგალითია ამისა. მტკვარს გაღმა ქსანში ას წლობით ვუმზერდით იმ გორაკს, რომელიც კვითლად გადმოგვყურებდა და იგი ჩვენს სულსა და გულს არაფერს ეუბნებოდა, ეხლა კი, პირდაპირ სასაცილოა, უცხო კაცი, რომელსაც ჩვენთან არაფერი საერთო არა აქვს, ამ გორაკიდან ოქროებს იღებს. ასეთსავე მაგალითს წარმოადგენს აშურიანი და სხვა მამულები, რომელიც უცხოელების ხელში გადავიდა კვლავაც გადადის. რომ საქართველო წარმოადგენს მინერალურ სიმდიდრის საღაროს — ეს უტყუარი ფაქტია, მაგრამ საჭიროა ეს ფაქტი ჩვენთვის გამოსადეგი იყოს. საჭიროა მეცნიერული გამოკვლევა საქართველოს ნიადაგის გეოლოგიური, ქიმიური ფიზიკური თვისებისა; საჭიროა შესწავლა ჩვენი სამშობლოს ბუნებისა. ვისი მოვალეობაა სამსახური გაუწიოს საქართველოს ამ მხრივ?

მრავალი იხარჯება ქართველ საზოგადოების ფული უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობაზედ იმ მოსაზრებით, რომ ქართველი ერი კულტურულად წინ წასწიონ ამ ძალებმა. სხვა და სხვა პირობათა გამო ეს ძალები ითქვიფებიან სახელმწიფო მექანიზმში და ქართველი ერისათვის უსარგებლონი ხდებიან, უმეტესი ნაწილი ჩვენი დიპლომიანი ახალგაზრდობისა სამშობლოს დაშორებულნი არიან და ჟამთა-ვითარებისა გამო, ის გრძნობა, იდეალები, რომელნიც უღვივოდნენ სტუდენტობის დროს უქარწყლდებათ, ულმობელი ცხოვრების ტალახში ეფლობიან და საბოლოოდ „ჩინოვნიკობას“ ეწევიან. ერთის სიტყვით, მიზანი, რომელიც დასახული ჰქონდათ, ქართველ საზოგადოების ცხოვრების ულმობელ პირობათა გამო, განუხორციელებელი რჩება. იკარგება ტყუილად შრომა, ენერგია და კაპიტალი. საზოგადოებისაგან დახარჯულმა ფულმა ტყუილა უბრალოდ არ უნდა ჩაიაროს. ზნეობრივი მოვალეობაა ყოველი სტიპენდიანტისა, სანამ იგი „გაჩინოვნიკდება“ რაიმე სარგებლობა მოუტანოს ერს, თავიანთი ცოდნით მაინც. სახაზინო სტიპენდიანტები, სწავლის მიღების შემდეგ, მოვალენი არიან გადაიხადონ თავიანთი მოვალეობა სახელმწიფო სამსახურში მსახურობით; მარტო ჩვენში თავისუფალნი არიან ამ მოვალეობისაგან. რა შეგვიძლიან მოვსთხოვოთ ქართველ საზოგადოებათა სტიპენდიატებს?

ზაფხულობით ისინი თავისუფალნი არიან და მაშინ შეუძლიანთ ცოტაოდენი შრომა გასწიონ. რასაკვირველია, ყველა ერთსა და იგივე სამუშაოს ვერ შეასრულებს. იურისტს და ფილოლოგს შეეძლება შეაგროვოს ეთნოგრაფიული არქეოლოური და სხვა ცნობები ჩვენის ერისა, ბუნებისმეტყველთათვის ხომ ფართო ასპარეზია გადაშლილი. რამდენი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე სტუდენტი, ზაფხულობით ფუქსავატად და უინტერესოდ ატარებს დროს, იმის მაგიერ რომ ცოტაოდენი რამ შემატოს თავიანთ სამშობლოს, ლოთობისა და არშიყობის მაგიერ, რომ საქართველოს ბუნება შეისწავლონ უკეთეს იზავდნენ; უნდა იციონ და იკვლიონ მინერალური სიმდიდრე: ეს მათთვისაც გამოსადეგია და ხალხს ხომ დიდ სამსახურს გაუწევენ. ჩვენ მემამულეთ იმის შეგნება რომ ჰქონდეთ, თუ რა სიმდიდრეს წარმოადგენს მათი მამული — არც ისე ადვილად გაუშვებენ ხელიდან თავიანთ მიწა-წყალს. დადასტურება ამ ფაქტისა მეცნიერების მიხედვით, თვალს აუხელს მათ და უფსკრულში გადავარდნას არ მოისურვებენ.

რომ ახალგაზრდათა შრომას შემთხვევითი ხასიათი არა ჰქონდეს, საჭიროა, დაარსდეს ბუნების მოყვარეთა ქართული საზოგადოება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მათ ინსტრუქციებით — საქართველოს ბუნების გამოკვლევაში. ამ საზოგადოების წმინდა მეცნიერული ხასიათი პრაქტიკულ სარგებლობას მოუტანს ჩვენ მომავალ სამთო-მრეწვე-

ლობას. თავის დახმარებით ყოველ გვარ კითხვების გამორკვევით.

ამ საზოგადოების მოვალეობა იქნება ბუნებისმეტყველთა და მოყვარეთა დაქსაქსულ ძალების შეკავშირება და მათი შრომისათვის სისტემატიური ხასიათის მიცემა. ამისთანა საზოგადოების არსებობას მოითხოვს ჩვენი ინტერესები და ცხოვრება და ახლო მომავალში მოვალენი ვართ ხელი შეუწყოთ, რომ ამგვარ საზოგადო ორგანიზაციასაც ჩაეყაროს საძირკველი.

თრითინა.

ჩემი საშობლო

„არ გავცვლი მე ჩემს საშობლოს
სხვა ქვეყნის საშოთხეზედა!..“

რ. ერისთავი.

...ღამეა, ღამე, გერცხლისფერი ღამე, ეს ის ღამე, რომელსაც სული ანკელოზის მსუბუქი ფრთებით შორდება ტლანქ სხეულს, თავდავიწყებით მიეჭრის დაუსაბამოს ბინდში კუსძულზე და უნებურად ადმოსთქვამს მუნჯ ფრინველის საგალობელს, ვით უცნაურ ბოეზიის საიუმოს, რომელსაც საოგუნოებით თავზე დაჭაობებენ ვარსკვლავთა ხელით კოშკად გადმოკიდული ციურ სარტყელის თვალსაჩინო, მაგრამ უკვალოთვის მიუწდომელი ჩირაღდნები. ობლად შეუნიღი, უცხო ქვეყნად გადმოხვეწილი მის ტკბილი მზერით ვეფეგ ერთგარ ნუგეშს, მივეწყდება ბირადი ტანჯვა, ჩემი სიხეულის სიავადე, მსურს ჭიმნი შეკვთხა, ვიგალობო ქებათა-ქება, მაგრამ ჩაფერფლილ გულიდან აგმეული სადმრთო გრძნობანი ვერ კი ადწევენ ღერჯ კამარის სავმო ხიდვას, რომ დუგა გესტაზს ფრთა ეკვეცვის, ძირს ვეშვები და თრთოლვით ვუმზერ ძაძა-მოსილს დამის კრეტსაბმელს. აგერა, შეიმხა მისი კალთა, ნელ-ნელ კოშკთა სახვრეტები... აგერ, ტეტხლ-მოდებული სამშობლოს ტაძრები... იქით კიდევ, სამოსელ შემოძარცული ჩვენი ისტორიის დამაშშვენებელი წმინდა კერპები... გაცრეცილი მთვარე მუნჯ ქურუმად ეშვება მათ წინ, მძიმედ ითალხავს სევდის ძაძას და ცრემლთა მარგალიტები აევავებულ წამწამებით ეხმო აკორდით აკვნესებს კრძნეულ ჭიანურს. მაგრამ ვის ესმის ნუტავ ეს ხმა? არავის, გარდა ერთი მავნელი შეალამისა და ჩემი ობოლი სულისა, რომელსაც ჭქონდა სამშობლო, სადაც რომ იშვა, აღიზარდა, სად უცისოდა ვარდის ბუჩქი, მცხოვანი მუხა, ტურფა ანი წყარნა კვერდით ბორს რომ იბანდნენ! ოჰ! რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ თუ თვითეული მათგანი რაგორ მესიეყვარულებოდა, რაგორ მკოცნიდა, მიხუტებდა, მშობლიურ ენით ვით მოამითხრობდა ჯადოსნურ ზღაპრებს! ვინ დაიჯერებს, ვინ, რა ნარნარებით ეკსოდა იგი თვითეულ ზღაპარს! მაგრამ ეს იყო სიზმარი. სიზმარი ტკბილი, რომლის ხსოვნა სიცხადეზე უფერესია, რომელიც მაღხობს, მარეგეშებს, დღესაც ადძიეკვანს სოფლებია სიცოცხლის მთებზე!

ჩემო სამშობლოვ, მამა-პაპათ ტკბილო სავანევ, რა ეარგი რამ ხარ, ვით აღვხატავ შენს წმინდა სახელს!

აი, ჩვენი სახლი, ეერონის ხეეში რომ იდიმება, იქ დავიბადე, იქ გავატარე ნეტარი ხანა, იქ მიეფერინავ და ჩემი მწუხარებისა თუ აღტაცების სიცოცხლის ნავი, იქვე სცხოვრობდნენ ჩემი მშობლებიც, დედა, რომლის კეთილ სახეს ისე არ გავიხსენებ, რომ რაღაცა უბიწოებისა და სათნოების სურნელოვანება არ ეიგრძნო, მამა, რომელიც მაკურთხებდა და განმამზადებდა უდრეს იდეალთა ასაეკვეებლად! ოჰ, ჩემო ძვირფასო სახლ კარო, სადაც ეოგელი კუთხე, ეოგელი ხაზი ჩემს საკუთარს სულის ისტორიას მოამითხრობს იდუმალის ხმით, სადაც ჩემთანებმა ჩამინერგეს, რაც რომ უმჯობესი და კეთილშობილური რამ მოიზოგება ჩემში, სათნოება, სიწმინდე, სიეკვარული, თაეკანისცემა მშეენიერებისადმი, სამართლე, უმზაკვლობა, პატივისცემა და ათასი სხვა რამ უდრესი ცნებანი, რომელნიც დღესაც მაკრთობენ ეოგელს ნაბიჯზე მაერებენ და მოეაქრებენ, სადაც უნდა ვიეო, რასაც არ უნდა გაკეთებდე! ჩემო, ჩემო ძვირფასო სახლკარო სადაც აკვანი დამირწიეს, სადაც დავდგარ უმნეოების ტრემლები, სად ვიცინოდი გულუბრეკილად განეიხარებდი, რაგორც მაიხის სხიგებთან კეკლუცად მოთამაშე უდარდელი ნორჩი ეკვეილი!

აი, ჩემი პატარა თუ უფრო სი და-ძმები, ღიღით რომ წამოვიშლებოდით, რაგორც ჩვენს სახლის თვრდელში დაბუდებული თეთრი ქოჩორა მტრედები! . აი ჩვენი ეზო, მარცხნივ სათოხე, იქით ბაკი, იქითკენ კიდევ— მეზობლების სახლი, შემდეგ დობე, იქით ბილები, აი, გაშლილი ალაღი, იქ კალოები, სადაც მთელი სოფლის გოგო-ბიჭები ვირეოდით და ეღიეილ-ხიეილით ვძრავდით მოა-ბარს. ეჭვ, სადაა ეხლა ის დრო. ვინ დამიბრუნებს, თუ არა ისევ ხსოგნა, ხსოგნის სიზმარი, რომელიც ჭეერეოვანი სახით მიდგენს თვითეულს გოლის სახეს. ეეჭვლია, ეხლა ეგელანი დაეაეკვლენ, დაცოლშვილდნენ, ვინ იცის ზოგიერთა ადარც კი არის ამ ქვეეყნად, ვინ დაიჭირა მათი ადგილი, მაგრამ ეკელას რატომღაც ისევ ეცვლილად ვხედავ, იმავე ტოტველა სახით, მოტიტინე და დაუდეგარ ბავშვებად, იმავე, ზედ გადმოჭრილი და ფრიად დამახასიათებელი, ზედმეტი სახელებით, რაგორც

ჩვეულნი ვიყვნეთ ერთმანეთისთვის დაგვეძახნა. აი, ეს ჭიანა, გამხდარი, სასთელსავით გაყვითლებული და ჩამომდნარი ჩვენი მეზობლის ბავშვი, რომელსაც ხარდახან წელ კვიანსაც ვეძახდით. როგორ ვჯავრებდით უბედურს, რაგორ ვტანჯავდით, ვტირებდით, როგორ ვწყევლიდ ვიბუებდით! ვიდრე ავადმყოფობა იმსხვერპლებდა, ის არავის მეკბრალებია. ოჰ, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მისი ხაზი, მუდამ ამდგრეული თვალები, როგორც საუკეთესო სავსე მიღულული წყვილი ტბა, რომლითაც იგი მხოლოდ ერთს რამეს გვემუდარებოდა: ნუ, ხუ მკრავთ ხელს. შეც ხომ თქვენი ცალი ვარ, რა ჩემი ბრალია, რომ სუსტი ვარ, შეც მსურს თქვენი ნეტარების განაწილება... მაგრამ ჩვენი სიდიდე-სითამამე მას არ უსმენდა, სულ კი იმიტომ, რომ თვის ტოლად ვერ ეცნო იგი, შეეწესარებლად მიაჩნდა, რომ თვით მკვირცხლს და ჯანსაღს მართლა ვიდაცა საშეარი და ჭიანა ჩამოგრეოდა მხიარულების ჯაჭვში, რაგორც სასურველი რგოლი.

აი, მეორე ამბანაგიც, ეს მაშხალა, გაბურძგნული, თითქმის მწვადად შემწვარი, მოუსვენარი, მუდამ ტანისამოს შემოფლეთილი, ტეის ნადირი, რომელსაც ჭიდაობაში, სირბილში ვერვინ სჯობნიდა სიმარდეთა. ახლა მისი ხმა, რა მჭექარე და გამეგირალი, თითქოს იერიქონის საყვირი ეთქვიოს! ენდა გენახათ, რადესაც მწყემსად აირჩიეს, ალიარზე რაგორი ჭექეთ დაჭეგეგდებდა: „გამო-ო-ალლეთ წაგიდა ღორ-ხბო!“ შეშინებული ფრინველის ხეგის გრეხილი უმადურის ბერტყუნით თითქმის სასთზე მეტხანს იმეორებდა ძინარად ალებულს მაშხალას მიერ გრიალად ამაღლებულ „ო-ს“. ბიჭი იყვეთ და ამის შემდეგ კიდევ დიდის ძალისთვის მიგეცათ თავი. მეტი ჯანი არ იყო, ენდა ამდგარიყვეთ. მართალია, უსიამოვნად წამოიზლაზნებოდით, უსიამოვნოდ გადიცვამდით ტანს, მაგრამ ორიოდ წუთს უკან თქვენ მაინც დიდი და დიდი მადლობელი რჩებოდით მაშხალასი, რადესაც სოფელს ჩამოუვლიდით, სიცოცხლის ჩქეფას იხილავდით, ეველგან მოძრაობას, ფუსფუსს, ბატარძლებისა და დიდედების მიერ ძრახების წვეულს, ფრინველების ყლიყილს, იქ კიდევ, ფრონის გადმა ფერდობზე წამალა წყარის ტივ ნამების, სავეარდად რომ შემოგტინებდნენ და მისალმებას ვერც კი მოასწრებდით, რომ კისკის ტრეფლებით სახეს ალმასის კოკრებად გაგიშლიდნენ!

აი, ეს ჭიბოდა, ბოთა, ლუტა, ეს კიდევ — ტატა, რომელზედაც მისი მამა თავმომწონედ იტეოდა ხოლმე: „გაქრეს, ჩემი ტატა ცხენის უზანგში გაძვრება!“ ამ დროს თვალი უნდა გედევნებინათ ის რა ჩიბუხს გაბოლებდა, რომ შეგენიშნათ, თუ რა მამობრივი კმაყოფილება გამოსჭვიოდა მის ქვედა ტუჩზე, გუთხის ბიბრად, სადაც მკრთალ სახით ლიმილი შეჩუეულიყო ულვაშის ჩრდილს, რა არის, ჩიბუხის ბოლმა ვაკეთებინა არ წამიმალოსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ეს ქინქლა, თოფიანალთა, ულალეარა... მაგრამ სად მოგთვალი მოელ არმიას, რომლისგანაც მოსვენება არ ჰქონდა გველსა თუ მინდორს, ჭალას თუ ტბეს, მთასა თუ ბარს, მწყრალს, ჩიტებს, ფრინველში მოქარავანე თევზებს, ხვლიკებს, თვით შხამიან გველებსაც კი, რომელთა დახოცვა საიქიოს ცხონებად მიგვიჩნდა. ხიდს ხომ ნუ ბრძნებთ! ვინ იცის, რამდენი ბალჩა არ გაგვიქელია, ცერცვი, თხილი, განსაკუთრებით კიტრები, რომელთაც უვაკილებშიგე ვსუსნიდით. ასე იყო დიდთ. შუადღისას კიდევ ფრონეზე გავრბოდით, სადას თალას სახელით ცნობილი უზარმაზარი ნერგი იყო გადაწოლილი, რის გამოც წყალი დაგუბულიყო და კარგი საბანაო მორეკი დამდგარიყო. აქ იწყებოდა ახალი დღესასწაული. მიგ მწოლარე ზანტად მცოხნავ ზაქებს რქებზე ვეჭიდებოდით, თავს მორეკში ვაყოფინებდით, ხან კუდებზე ვეხუნძლებოდით, ხან კიდევ ზურგზე ვაცოცდებოდით და ორივარ ბუზებზე არა ნაკლებ ვძიძგნიდით და მოსვენებას არ ვაძლევდით. საამო იყო ეერეეშელობა, განსაკუთრებით ომიანობა, რადესაც მიგდგებოდით და შეგეთ წყალს ერთმანეთს ვეშხაპუნებდით. შემდეგ, რაცა მოგიდლებოდით, გახურებულ ლამზე გწვებოდით და მზის სხივებზე გიწვებოდით ჩვენ ტოლ-გოგოებთან ერთად, რომელნიც ჩვენზე არა-ნაკლებ ორავ-ნრობდნენ და სირცხვილისა და კდემისა იმდენიგე ესმოდათ, რამდენიც ჩვენ. მოსადმოგდებდა და ახლა სხვა ჯურის ლხინი, ეარიდობა და ათასი სხვა რამ, ვიდრე კარგად არ მოვიქანცებოდით და ნაძალადევად არ დაგვრეკავდნენ შინ.

ახლა დღესასწაულები? ჰო, ვით ავწერ მობას, ახალწლის ლამეს, რა ლხინი გვქონდა, შელოცვა, გოზინაყი, კერის ჩხიკინი, მეგეზლის ანავერწკლება, შემდეგ ტკბილეულობა, ბასილა... ახლა ადდგომა? ღმერთო, ლიტონია ლამეს რომ გავწევდით ეკლესიისკენ. ჩვენი საეკლესიო ხომ სოფლიდგან კარგა მორს იყო, თითქმის ერთი ვერსის მანძილზე, ფერდობზე. და აი, გავცილებოდით სოფელს და ჩვენ ეკლესიას ალფრთოვანებით მივაშტერებდით თვალს, განსაკუთრებით მის გარშემო ხეხილთა ჩრდილის უბეზე მისვენებულ სასაფლაოს, სადაც ბუჩქებში გზა-დაკარგულ ციცინათელებსავით მოჭკრთოლნენ სანმრთო ალუმალების ნიავით ალიფლიფებული კელაპტრები აი, კიდევ შიგედით. ალტაცება ასკეცდება. ეკლესიის კვერდით კოცონები უნთიათ, საამოდ მანდალათობენ, ეველა ჭკარობს, „ქრისტე ადგას“ იდგეცვენ, აქა-იქ

სახთდებით მოსიარულები, სასაოდაოზე გაბნეული მდიდ
ვედრი ფანტასტიურ დახდებად შოკერთოდნენ. რადაცა
მგდრეთით ადგგომიდი ბასტიური ძალა ერთი სიხარუ
ლის ენით ადამარაგებდა ეგვდას. იწვეს დიტონია. საა
ბო თრთოდეა... გადობა... იქით ზარების რეკვა... აი,
ბეერცხებიც დაჰკრეს... სადმრთო ბურ-ამუდი... სადმრთო
ადტაცება... ამასობაში მტრედის ფრად ინთეს და
ეგვდანი ეკრჩარებით მინისაკენ, რომ სოფელიც იმავე
ადტაცების ტალდებით წაგვედეკნა... არა, ეს რადაც
დაეგერებულია, მიეწვდომელი, ოცნებად დარჩენილი რე
ალობა, რომელიც ხორცშესხმულობას ადარ ჭეშეს
ბემთვის არას დრის...

აი, ჩვენი ხატის კაკალი. აქ ერთი დდის მიწა
გჭერდა. ხშირად გუთანზეც ვ ვეგდომიგარ; ეერი მაგ
დია მეხრის სეგდიან ორაეულასთვის, რომელიც დრმად
შეიჭრა ჩემს ხსოვნაში და სეგდა იგი ჩემს ნარჩ გრძნობ
ებთან კადახლართული ეუძედ დაედო ჩემს მომავალს
კეშნის ტაძარს. ახლა კალთობა? დ ერთო, რა ამბავი
გვქონდა, რაგორ ვიკლებდით იქაურობას! სულ კი ამა
ტომ, რომ ბუნებამ თითქოს თავის ბედნიერების კანსა
სახიერებლად დაგვრიშა: ჩვენი იეო მისი გაზაფხულის
სიკეკლეცე, ჩვენი იეო მისი მინდვრის მწერეი, თეთრ
ფითულ ბეშველებად შეფოქილი ხიდნარის ეკვიდები,
ჩვენ გვეგუოგნოდა მისი ბაბანაქება ზაფხული, ოქრის
ძნა, ჩვენ კალთის ეიეს ეხვეოდა მისი მსექანა და ნაეო
ფით დატვირთული შემოდგომა, თვით ზამთარიც კი
ადტაცების სიმბოლოდ გვიჩნდა, როდესაც თოვლობით,
ციგაობით ეინვის ბორკილებს ვლეწდით, არ ვეშოებ
დით ნამქერს, ვანცობდით შინ, ვანცობდით გარედ,
ეიქინა, დაესრულებელი ერიამუდი, წრიამუდი და სიხა
რული, სიხარული და ადტაცება, რომ ბუნების გამოწ
ვდილი თასით გამოგვემშრალებინა მათრობელა ბედნიე
რების ნექტარი. არა, ამ დრის ჩვენ ხარბად ვწოვდით
ბუნების ნოეიერ რძეს, იგიც თავის მხრით ჩვენ გვს
ვამდა და თავის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად
გვხვდიდა, თითქოს ამით ჭსურს თავის არსებობას რა
მე მიზანი მისცეს, მისცეს აზრი და გვერგვინასან
ჭეოს კანონიერება თავისი ძალაურებისა!

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ორი თვის ისტორია

როცა უბრალო მხეცი ხეტეეში შოკეკვება — დაიწყებს ხოლმე ღრიალს, და ძის გულსაკლავ ხმაში მოისმის გარდა უბრალო შიშისა და ტკივილისა, რალაც თითქმის ადამიანური სიძულვილი იმ მტრისადმი, რომელმაც ასეთი მარცხი დაჰმართა. ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და ჟურნალისტები კი, ასეთივე ყოფაში ჩავარდნილნი, გარდა ადამიანურის სიძულვილისა და გესლისა, ადამიანურის სიყალბე-სიმრუდისა, უბრალო მხეცებივით იწყებენ ღრიალს, თავ-დაკარგულს განგაშს, რომ ყვირილით გამობრუებულ მკითხველს, ალარც დრო ჰქონდეს, ალარც უნარი, ალარც საშუალება სინამდვილის გამოკვლევისა.

ასეთმა „ბრძოლამ“ მოიკიდა ფეხი ჩვენს „ორს დემოკრატიულ“ პარტიის შორის და მთელი მათი „იდეური“ წინააღმდეგობა ამ ერთი-ერთმანეთის ხაფანგში გაბმაზეა მიმართული. ერთ დროს ბედმა „ესდეკებს“ გაუღიმა და იმათ ხაფანგს კარგა მსხვილი „ნადირი“ მოჰყვა; იქნებ ისეთი მსხვილიც, რომ „ესფერებს“ ex-ფეროობა დაემართოთ. მაგრამ, ვიდრე ასეთი „ბუნებრივი“ პოლიტიკური სიკვდილი დაიმკვიდრებდეს მათს ბანაკში, ისინი ეხტიბარს არ იტეხავენ და ქვეყანას კიდევ ოვალთ-მაქცური განგაშით აყრუებენ.

მაგრამ საქმეზედ გადავიდეთ. გიორგაძეებმა ვ. გელოვანს, ფედერალისტების დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროში, ბრალდება წარუდგინეს. ბრალდება სწორედ ახალ წლის გოზინაყთან ერთად იყო მირთმეული და აჰა, ყველივრის ქადებსაც გავცდით — ეს ბრალდება კი გაუფანტველია.

ვინც გელოვანს იცნობს, ის დარწმუნებულია, რომ აღდგომასაც მოესწრება მხიარულსა, მაგრამ ვერც სადიდმარხვო მონანიებას ნახავს, ვერც ბრალდების გაბათილებას. ეს არც გასაკვირველია, ამბობენ: წარმოიდგინეთ, თვით „ეს-ფერები“ ამბობენ, რომ ეს „ჩვეულებრივი მოვლენა“ არისო. იმას კი ალარ ამბობენ: საზოგადოთ ჩვეულებრივი მოვლენა არის, თუ კერძოთ გელოვანის ცხოვრებაში. აბა როგორ იქნება ასეთი გამოურკვეველობა! ბერე როდის იყო ეს ნათქვამი, ან სადა და ვისგან? „ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ქვეყანა ინგრეოდა“ და „ესფერები“ ნაცარტუტას აყრიდნენ „ესდეკებს“, როგორ გაბედეთ და სთქვით, რომ „ოდე-

სელ სტუდენტებისაგან რესტორანის აკლება ჩვეულებრივი მოვლენაა“: ეს იმ დროს მოხდა, როცა „ესდეკების“ ფსიხოლოგიისათვის ჩვეულებრივი იყო „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტის გალახვა. მე და ჩემმა ღმერთმა ეს ორთავე მოვლენა ჩვეულებრივია, საუბედუროდ... მაგრამ რა გასაკვირველია ამის აღიარება „ესდეკებისაგან“, რომელნიც ეჩვევიან ყველაფერს — ისეთს ატმოსფერაში ტრიალებენ; — მაგრამ როცა გელოვანის საქციელზედ ამასვე ამბობენ ,,ესფერები'', და ნამეტნავად ჩვენი ფაქიზ ცრემლთა დამღვრელი იერემია, ქადაგად დაცემული ბატონი ,,სიტყვა'' -- მაშინ არ ვიცით, სად ვიბოვოთ უბრალო ,,არაჩვეულებრივი''. მარტივი პატიოსნება?

ჯერ არავის გაჰკვირვებია, რომ გელოვანს ბრალი დასდეს, არ ვიცით კი, რატომ არ უკვირთ; მაგრამ ყველას უკვირს, რომ ფედერალისტებიც სდუმან და სულ ბოლოს მორცხვად წაილუღლუღეს: ,,ჩვენ ვერც ჰოს ვიტყვით, ვერც არასაო''. აბა ასე როგორ შეიძლება პოლიტიკური პარტიისათვის! ღმერთმანი არ შეიძლება. ყველა საკითხზედ, პოლიტიკურია იგი, თუ მეცნიერული, ეროვნული თუ სოციალური, თუ გინდ ტელეპატიაზედ — ფედერალისტებს მზადა აქვთ პასუხი და თუ არა აქვთ, იმ დღესვე მოამზადებს, მათი ჰენიოსი ,,თანამშრომელი'' არ. ჯა — შვილი, რომელსაც მეცნიერება თუ შემოაკლდა, ან ცოდნა, ისე სახელდახელოდ, ,,თათარიახნად'' შეჰქმნის თეორიას, ,,ალმოაჩენს ახალს ალმოჩენას'' როგორც ოხუნჯობენ ,,ესდეკები'' — იმიტომ რომ მას ,,გარკვეული პოლიტიკური იდეალი'' აქვს.

მართალია, ,ესდეკები'' ამ ალმომჩენს ,,კრეტინს'' ეძახიან, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს ტყუილია და განგებ მოგონილი, ეს ალმოჩენებში შეჯიბრებაა და სხვა არაფერი. არ. ჯა — შვილი მარტო პატარა ,,პუბლიცისტია'' და რა ჰქნას მართლა იმანაც, ბედაურები გაექცნენ, არავინ დარჩა რედაქციაში და იძულებული კია ყოველდღე ზეწარივით გადაშალოს მიმკვდარებული საქართველოს — წყალ-წყალა გაზეთი, ,,სახალხო გაზეთი'', რომელიც ,,საზოგადო აზრს'' გამოხატავს. რა ქნას, რომ გელოვანის ინციდენტში სხვა ვერა ალმოაჩინა რა, გარდა: ,,ვერც ჰო და ვერც არაო“. ზოგი ნაცარ-ქექია ამასაც ვერ ალმოაჩენდა იმოდენა ჭუჭყში, რაც ,,ესდეკებმა'' გადაანთხიეს...

მაგრამ სად გავები. არ. ჯა შვილისაგან რა მინდოდა, ის ხომ ,,აფერისტი'' არ არის, როგორც ს.-დ. ეძახიან მათა; არა, ამის შნოც არა აქვს, გარწმუნებთ, ის მარტო უბრალო ტყუილებს თუ მოახერხებს, ისეთს ტყუილს, რომელსაც მოკლე ფეხები აბია, ისეთი მოკლე, რომ მაშინვე ენასაც დაიმოკლებს ხოლმე — აი, გახსოვთ, მაგალითად, ხიზანთა საკითხი, როგორ მალე აიღო ხელი თავის გაფურთხებულზედ ვითომ ჩვენ ,,ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების წინააღმდეგნი'' ვიყავით. ეხლა სხვას გადასცა ეს ტყუილი დასაღეჭად (სახელდობრ უფრო ნაცადს ,,აფერისტს მეცნიერებაში'' — ბატონს თეოდორე ღლონტს) და თვით შეუდგა ახალ ალმოჩენათ: ,,ესდეკები თავად-აზნაურობის იდეოლოგები არიან ეროვნულ საკითხშიო“, „თავად-აზნაურობის იდეოლოგები და ზუბრები ჟურნალ „კლდიდან“ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი არიანო'', ,,ცეცხლი წყლის ნაწურიაო'' და სხ. წინად კი, როგორც ,,ესდეკები'' ამტკიცებენ, სულ სხვა აფორიზმების გზას ადგა და ამტკიცებდაო, რომ ,,მაწონი მჟავეა, შაქარი ტკბილიაო'' და სხ. ესეთი ტრანსფორმაციაც თავისებური მეცნიერებაა, მაშ რა არის?

გელოვანის აფერისტობის დამტკიცებას ჩვენ ალარა ვკისრულობთ; რადგან ესდეკებმა ისეთი კარი შეანგრიეს, საცა შესვლა უარესია, ვიდრე „ломиться въ открытую дверь“; მაგრამ ჩვენ ერთი გვაკვირვებს, „ჩვენი ერის უმრავლესობის, მუშა-გლეხის ინტერესების დამცველმა პარტიამ'' რაღა ისეთი კაცი გაგზავნა სათათბიროში, რომელმაც მუშა-გლეხებს დასტყუა ოციოდე თუმანი და საქმე წააგებინა? ნუ თუ კასაში იმდენი არა ჰქონდათ რა, რომ საგზაო ფული **ესესხებინათ** დეპუტატისათვის, ხომ აიღებდა ჯამაგირსა და დაგიბრუნებდათ, ან იქნება ამის იმედიც არა გქონდათ? რა ვიცი, მე კი არ მეკრნებოდა იმ კაცისაგან, რომელმაც სწორედ იმ დროს და იმ გლეხებს დასტყუა ფული, როცა და რომელნიც (?) ირჩევდნენ გლეხების ინტერესების დამცველად. მაგრამ ეს წვრილმალებია: თუ კი ადამიანი **ორ დღეში** ,,გასოციალისტდა'' და ,,სოციალისტურ'' ,,პარტიას'' (?) სათათბიროს სავარძელი დასტყუა, რა გასაკვირველია...

აქ გასაკვირველი მარტო გულუბუყვილობაა ფედერალისტებისა, რომელთაც სრულიად შეშალეს სიბრძნე რუსეთის ხალხისა: „рыбакъ рыбака чуетъ издалека“.

აი, მაგალითად თქვენ ჩვენ რაღაც 20 თუმანს გიორგაძეებისას და 2,000 თუმანს კი არა ჩვენ სხვა-გლეხებისას, რომელთაც დასტყუა თურმე

ასეთივე ხრიკით სხვა ,,ესფერების''... კინაღამ გადეპუტატებულმა, გლეხთა ინტერესების დამცველმა, ბრწყინვალე თავადმა. მაგრამ ,,ესდეკებს'' არ გაეხარებთ და ჯერ შესაჭმელად არ მივცემთ ამ ია-ვადს, დეე ჯერ ერთი მოინელონ.

გელოვანის ყოფნა პეტერბურგში, სხვა არა იყოს რა, უნაყოფო იქნებოდა, რადგან, გულახდით უნდა ვსთქვათ, საქართველოს ინტერესებით ის იმდენად იყო დაინტერესებული და იმდენად იცნობდა მათ, რამდენადაც ეს ინტერესები თავს იყრიდნენ ,,ს.-პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს ტრადიციულ სალამოზედ''. აქ იწყობოდა და თავდებოდა მ.ს.ი სამშობლოსადმი სიყვარული, აქ იჩენდა დიდს ,,მარიფათს'' და კაცმა მართალი უნდა სთქვას... არა ჯერ ამასაც ნუ ვიტყვით: ბევრი მართალი ერთად—კაცს თვალსა სჭრის. ხოლო ეს გელოვანი, თურმე ,,ცნობილი ნაფიცი ვექილი'' ყოფილა, ამბობენ... ამას კი აღარ ამბობენ, თუ ვისგან იყო ცნობილი და როგორ...

ყველა ამის და მიუხედავად ვამბობთ, გელოვანის ყოფნა პეტერბურგში უნაყოფო იქნებოდა, რომ მისთვის გვერდში არ ამოეყენებინათ თევდორე ღლონტი.

ქართველი კაცი არ შეიძლება, არ იცნობდეს თევდორე ღლონტს, ნაშეტნავად ის ქართველი ვინც კი წერა-წითხვა იცის, რადგან არ ყოფილა ისეთი მიმართულება ან ორგანო, სადაც ღლონტის გრძელი, გრძელი, გრძელი... წერილები არ ყოფილიყვეს დაბეჭდილი; წარმოიდგინეთ, ჩვენს ,,კლდეშიაც'' კი, საცა თურმე ,,თავად-აზნაურობის დაქირავებული ჩინოვნიკები'' სხედან, ჩვენს კლდეშიაც სწერდა. მართალია, როგორც კი გაიგო, რომ ჩვენ ისე გაჭირვებულნი ვართ, რომ გონორარის მიცემის მაგიერ, პირიქით დახმარებას ვთხოვდით იმხანად, — მაშინვე სხვაგან გადიკუნტრუშა, საცა სტიპენდია დაუნიშნეს, მაგრამ მაინც ხომ სწერდა. ღლონტიმ კარგად იცის, როგორიც თავად-აზნაურობის მოხელენი ვართ, მაგრამ რილას აფერისტი იქნებოდა, რომ თავისი შეცნიერული აბდა-უბდა ჩვენი **ლანძღვის იალქანით** არ შემოეპარებინა. მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის ჩვენი ნამდვილი, გადაჭრილი, გულწრფელი პასუხი ხიზანთა საკითხზედ, იცის რომ ჩვენ თავადაზნაურულზედ კი არა, ეროვნულ პოზიციაზედ ვსდგევართ, ეს იცის ღლონტიმაც და მაინც ჭუჭყიანი ცილისწამებით უნდა გააბათილოს ჩვენი ნათქვამი: სახელს გვიტეხავს ლანძღვით და ამით თავის და გელოვანის ,,ორიგინალურ'' მეცნიერულ პოზიციის გამაგრება სურს. გელოვანს არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს ხიზნობაზედ, არც იცნობს ამ საკითხს და თუ უკანასკნელად ასე თავ-გამოდებით იცავდა მეცნიერულს (?) პოზიციას, ,,მეცნიერებაა'' და ამიტომ ამბობს ღლონტი ასე თამამად: გელოვანის ორიგინალურ პოზიცია ღრმად მეცნიერულია.

ეს ორი ვაჟბატონი ერთმანეთს ისე უკეთებენ სახელს, თითქო ასი წელიწადია ფედერალისტების პარტიაში იწრთობოდნენო: როგორც კიტა აბაშიძემ გახადა ბატონი ჭუმბაძე თითქმის ჭენიოსად და ბ-ნი ჯორჯიკია ნამდვილ ჭენიოსად, როგორც ბ-ნ გედევანიშვილის ლამაზი საბავშვო პიესა ფედერალისტებმა გახადეს ეროვნულ შემოქმედების ახალ ღერძად—ისე თევდორე ღლონტმა თავადი გელოვანი დახატა მჭერმეტყველად, დაკვირვებულ მომუშავედ და ღრმად შეგნებულ დემოკრატად: გელოვანიც არ დარჩა უპასუხოდ და იმ დროს, როცა ესდეკები საქვეყნოდ ითხოვდნენ პასუხს ბრალდებაზედ, როცა საქართველოში კიდით-კიდემდე ერთი საკითხი და ერთი აზრი ტრიალებდა - რას იტყვის გელოვანი?—მან განაცხადა: ეს სულ ტყუილი განგაშია ფედერალისტების და ჩემს, როგორც მათს წარმომამდგენელის, წინააღმდეგაო. და რაც შეეხება ხიზანთა საკითხსაო (?! ახა ღმერთო ჩემო, ეს რა შუაში იყო იმ დროს?) ამაზედ დაწვრილებით ჩვენი ახალგაზრდა **მეცნიერი** თ. ღლონტი მოგახსენებთო: „Кукушка хвалитъ пѣтуха за то, что хвалитъ онъ кукушку.“ – შანტაჟია, მა რა არის? და ან ვინა ნახა მას შემდეგ გელოვანის ,,ორიგინალური შეხედულობა ხიზნობაზედ'', წარმოდგენილი ბ-ნ თევდორე ღლონტისაგან? მაგრამ მოვიცადოთ, ღლონტი კიდევ ერთს წიგნს წაიკითხავს რასმე და მაშინვე გავიგებთ **გელოვანის** ,,ორიგინალურ'' თეორიას. და თუ ვერ გავიგებთ ამას, იმას მაინც გავიგებთ, რომ ,,კლდე'' თავად-აზნაურების დაქირავებული ჩინოვნიკებისაგან შესდგება და ეს განა იგივე ორიგინალობა არ არის... თუნდაც ხიზნობას არ შეეხებოდეს.

მაგრამ ყველა ამ მოძველებულ აფერისტებში, ჩვენ ვფიქრობდით არ მოიძებნებოდა მეორე ისეთი თავზე ხელ აღებული ყმაწვილი, როგორიც არის არ. ჯ—შვილი, რომელიც ისე დაჭკარგავს ხოლმე უნარს მსჯელობისას, რომ ცეცხლში რომ წაუფლა ცხვირ-პირი, მაინც თავისას იტყვის წყალიაო. მაგრამ მოვსტყუვდით და ,,უხალხო გაზეთის'' (ბატონ

ონავარის ოხუნჯობაა, ჩემი არ გეგონოთ) ველებზედ ახალი უშიშარი რაინდი ალმჩონდა: ,,ს. კ ქ.''. ღმერთო შეგცოდე—,,ს. კ. ქ.''-ს სტილი და მოსაზრებანი—არ. ჯ—შვილისას ისე ჰგავს, თითქო მისი ხელითაა დაწერილიო, მისი თავით მოფიქრებულიო და შეცოდება ის ,,პარტია'', რომელიც ასეთ უნუგეშოთა ხელშია ჩავარდნილი. ,,ს. კ. ქ.''-მ, მაგალითად ალმოაჩინა, რომ ,,თემი'' და ,,კლდე'' ერთი და იგივე უპრინციპო, მადიანი, უმიმართულებო მიმართულების ორგანოაო. ეს ზედგამოჭრილია იმ ალმოჩენებზედ, რომელიც ზევით მოვიყვანეთ არ. ჯ—შვილისა. თუმცა თვით არ. ჯ—შვილმა ალმოაჩინა წინად რომ ,,კლდე'' მეწვრილმანეების ორგანოა, შემდეგ ალმოაჩინა, რომ იგი ზუბრების ორგანოაო და უკანასკნელ დროს ალმოაჩინა, რომ ბურჟუაზიის ორგანოა, მაგრამ ,,ს. კ. ქ.-ს თავის პრინციპალის ალმოჩენებმა ალბად მოსვენება არ მისცეს და ჯაბრით უფრო ახალი ალმოჩენა ალმოაჩინა რომ ,,კლდე'' მადიანების ჟურნალიაო. ,,მადიანი''! ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ესა? თუ სურდა ეთქვა, რომ მატერიალურად ვართ მადიანები რატომ პირდაპირ არა სთქვა?—(განა ამისთანა საზიზღრობას სჩადის, როცა მაგალითად მოურიდებლად და სულის სიმდაბლით იმეორებს ჭორს, რომ „კლდე" ვილასაც ,,აბეზღებს''?) და თუ ჩვენი მადა იმაში დაინახა, ვითომ ვეპოტინებოდეთ ჩვენს ღონეზედ ალმატებულს პოლიტიკურს იდეალს—დაგვინახოს მაინც თუ **რას** ვეპოტინებით; და თუ ბოლოს დასძინს, რომ ,,თემი'' და ,,კლდე'' ,,წმინდა თავად-აზნაურულიაო, ბატონურია, გამომსახველი მომავალი წოდების ფარულის სულის კვეთებისა''—ესეთი ალმოჩენა თვით არ. ჯ-შვილს არ შეეძლო, რომ **ამ მხრივ** თავად-აზნაურობა მადიანი იყოს. პირიქით არ. ჯ—შვილმა დიდი ხანია ალმოაჩინა და ჩვენც ვეთანხმებით, რომ თავ.-აზნაურობას არამცთუ მადა, საზოგადოთ მადის უნარიც დაკარგული აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაშ რადა სწერს ბატონი „ს. კ. ქ." ასეთს აბდა-უბდას? მარტო იმიტომ, რომ ჩვენს პრესას დასჩემდა: რაც უფრო ღონივრად გაილანძლები, მით უფრო ყოველნაირი შენი სისულელე სიმართლედ ჩაგეთვლებაო. რასაკვირველია, მკითხველი ამას არ ეთანხმება, მაგრამ ჟურნალისტი კი თავის გატაცებაში დარწმუნებულია, სწორედ ასეაო და... მაგალითებიც მოჰყავს: გიგოს: ჩემი გაზეთის ტირაჟი დღითი-დღე იზრდებაო; არჩილს: ჩემი გაზეთის ტირაჟი დღითი-დღე იზრდებაო.

ჩვენ კი გვგონია, ვიდრე ,,უხალხო გაზეთი'' ასეთის რიხით გამოილაშქრებდა ჩვენზედ თუ სხვაზედ, ჯერ საკუთარი ბანაკი უნდა გაეწმინდა თავად-აზნაურული ტენდენციებისაგან და ფსიხოლოგიისაგან, ვინაიდგან **თავით-ბოლომდე** მთელი ,,პარტია'' განსაკუთრებით თავად-აზნაურებისაგან შესდგება; მეორეც, **დაპირების მებრ**, უნდა სასტიკად დაესაჯა თავისი წარმომადგენელი სათათბიროში, რომელმაც ჩირქი მოსცხო არამც თუ პარტიას, მთელ ქართველ ერს თავისი უმგვანო საქციელით—და განედევნა იგი. ყველა ამის მაგიერ, ,,უხალხო გაზეთმა'' კატასავით პირი მოიწმინდა და რაკი იფიქრა, ახლა კი ყველას დაავიწყდა ჩემი სიმყრალეო, მოჰყვა მარჯვნივ და მარცხნივ უშვერ ლანძღვას. რაც უნდა იყვეს, ფედერალისტთა უმრავლესობას ხელმძღვანელობს ინტელიგენცია და თუ საქმეზედ და პოლიტიკაზედ ჭეშმარიტი მსჯელობა არ შეუძლიანთ, თუ ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის წარმოება არ ძალუძთ, იმდენი ღონე მაინც იღონონ, რომ ლიტერატურული ეთიკა დაიცვან და მტვრად აქციონ ,,მტრები'' სიმართლით და არა ჭორებით და ბილწი ცილისწამებით, როგორც აქამდის ესდეკები სჩადიოდნენ მათ წინააღმდეგ: ჯაშუშებო, მაბეზღრებო, შესყიდულებო და სხვაო ეს ნიშანია მარტო უილაჯობისა და არა ღონისა: ღონიერ პარტიას, როგორც ღონიერ ადამიანს არ უნდა ჭყივილი და ლანძღვა—ამისათვის დარბაისლური მუჯლუგუნიც საკმარისია, მტრების გასაფანტავად. საგაზეთო პოლიტიკურ ბრძოლაში კი მუჯლუგუნი სიმართლეა და არა სიყალბე.

მაგრამ ვისა ვსთხოვთ სიმართლეს, არ. ჯ—შვილს? ღლონტს? გელოვანს?—ამ ცრუპენტელებს—რომელთაც ქვეყანა ტყუილებით და ჭორებით მოჰფინეს?

ნაცარა.

არჩევნების ნიმუში

წარსული კვირის ორშაბათს დამთავრდა დაუსრულებელი კრებები მევენახეთა საზ. „კახეთისა".*) დაუსრულებლობა, სხვათა შორის, გამოწვეული იყო იმით, რომ ერთი ნაწილი კრებისა საგანგებო მიზ-

*) შემდეგში ჩვენ დაწვრილებით შევეხებით საზ. „კახეთის" საქმიანობას.

ნით აზვიადებდა კამათს და ლაპარაკს აგრძელებდა. რასაკვირველია ამ ობსტრუქციამ ცუდი ნაყოფი გამოიღო. კრების დასაწყისში 96 წევრი იყო. (ასეთი დიდრიცხოვანი კრება პირველია საზ. „კახეთის“ ცხოვრებაში) მათ შორის დეესწრო 38 ახალი წევრი გლეხკაცი. მართალია გლეხები დიდის ყურადღებით უსმენდნენ მოხსენებას და ორატორებს, თვითონაც იღებდნენ მონაწილეობას კამათში და სჯა-ბაასში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მის შემდეგ, როდესაც შეატყეს, რომ ნაწილი კრებისა განგებ აგრძელებს კამათს, რომ თავის კანდიდატს ჩამოაშოროს მოწინააღმდეგე ხმები (გლეხებიც ამ რიგში ითვლებოდნენ), მოთმინებიდან გამოვიდნენ, ადგნენ და გამწყრალთ შინ გასწიეს. გლეხებთან ერთად კრებას მიანება თავი ბევრმა სხვა წევრმაც და საარჩევნო დღეს სულ 31 წევრი და დარჩა, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდა ნათესავობა იმ კანდიდატისა, რომელიც გავიდა საზ. „კახეთის“ გამგეობის წევრად. როგორც მოსალოდნელი იყო, ამნაირ „შინაურულ“ არჩევანს შინაურულივე ბოლო აღმოაჩნდა: ყოფილი გამგეობის წევრი და ახლად არჩეული — ივანე იოს. ვაჩნაძე საზ. „კახეთის“ წევრი არა ყოფილა. ეს გამოირკვა შემდეგიდან. კრების გახსნის მესამე დღესვე კრების თავმჯდომარემ ა. რ. ვახვახიშვილმა განაცხადა, რომ მამის ან დედის რწმუნების წერილით მონაწილეობის მიღება საზოგადო კრებაზედ — **უკანონოა**, რადგანაც ეს წესდებას ეწინააღმდეგებაო, და ამიტომ იგი, როგორც თავმჯდომარე, თავის უფლების ძალით ამ რწმუნების ქაღალდებსა სჯიბს და მის გარშემო კამათსაც უკრძალავს. ასეთმა დიქტატორულმა ქცევამ ბ. თავმჯდომარისა წევრთა შორის გაკვირვება გამოიწვია (რადგანაც ამ საკითხის გადაწყვეტა საზოგადო კრების კომპეტენციას და უფლებას შეადგენდა). მაგრამ თავმჯდომარე, ულმობელი იყო. მე ვიცავ წესდებას და კანონსაო! კრებაც დაემორჩილა. მაგრამ ამ საკითხმა კვლავ წამოჰყო თავი. ერთი საკითხის გადაწყვეტამ კენჭის ყრა მოითხოვა. საზოგადოების გამგეობამ წევრთა სია წაიკითხა. ამ სიაში არ იყო ნახსენები გამგეობის წევრი ივანე ვაჩნაძე. მაშინ წევრმა გ. ჯანდიერი გამგეობას გაკვირვებით შეეკითხა, რატომ თქვენი კოლეგა არ არის საზ. წევრია სიაში შეტანილი. იმიტომ — უპასუხა გამგეობამ — რომ ივანე იოს. ვაჩნაძე წევრად არ ითვლებაო, ამასწინად დედის რწმუნების წერილით გამგეობის წევრად არჩეული იყოვო, დღემდისაც არ წარმოუდგენია საჭირო საბუთები და ნამდვილ წევრად მისი დედა ითვლება და სიაშიც ის არის შეტანილი. ეს დაადასტურეს მიმღებ კომიტეტის წევრმა ბ. ვას. ავალიშვილმა და საარჩევნო კომისიის წევრმა ზ. მაჭავარიანმა. ამრიგად ნათელად აღმოჩნდა, რომ ივანე ... საზოგადოების წევრი არ იყო, არც მაშინ, როდესაც ... წელიწადი გამგეობის წევრად იმყოფებოდა, არც უკანასკნელ კრებების საარჩევნო დღეს.

სამწუხაროდ თავმჯდომარეს ამ დღეს დაავიწყდა წესდებაც და კანონიც...

არა წევრს ყუთის დადგმა არ აუკრძალა და იგი გამგეობის წევრად უკანონოდ აირჩიეს. ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს მეევნახეთა საზოგადოება „კახეთი“, და მისი გამგეობაც და კვლავ დამტკიცდა, რომ ჩვენ საზოგადო მოქმედებაში ბევრი რამ გვაკლია და მათ შორის — მიუდგომლობა, პატივისცემა და სიყვარული საზოგადო საქმისადმი.

* * *

ᲕᲠᲔᲙᲘᲐ

ნათქვამია, ღმერთი რომ ფარას გაურისხდება, მწყემსად რეგვენს მიუჩენსო. ასე დაემართათ ჩვენ სახალხოელებს: არ. ჯ — შვილზედ ჭკვიანი კაცი დღეს ამ ჯგუფში აღარავინ მოიპოვება. მოუსმინოთ რას სწერს მარილი პარტიისა:

„ერთს უცნაურ შოგდენასთან გვაქვს საქმე. ჩვენში არსებობენ ზომიერები, მაგრამ არ არსებობს ზომიერთა პარტია, ე. ი, ერთის მიზნებითა და სამოქმედო გეგმით გაერთიანებული, შეკავშირებული ჯგუფი“.

ჩვენის აზრით ეს მართალიც არის და მტკნარი სიცრუეც. მართალია იმიტომ, რომ ზომიერებს არა აქვთ თავისი **საკუთარი** პარტია და მტკნარი სიცრუეა იმიტომ, რომ ჩვენში ყველა ზომიერი ელემენტი სახალხოელებმა თავიანთ პარტიაში შეიყვანეს.

ამრიგად ზომიერთა პარტია თან არსებობს და თანაც არა. არსებობს იმიტომ, რომ არსებობს სახალხოელების პარტია, რომელიც ზომიერ ხალხისაგან შესდგება და არ არსებობს, იმიტომ, რომ ამ არსებითად ზომიერ ადამიანებს რევოლიუციონური ფილაქტერია აუკრავთ შუბლზედ.

მაგალითად ვინ არის თვით არ. ჯ — შვილი, ეს „ლიდერი“ პარტიისა?

იგი ტიპიური ზომიერია, და ამ ზომიერებას იმდენად არის გადაცილებული, რამდენადაც გადაცილებულია საზოგადოთ ზომიერ გონიერებას.

საქმე ხომ სიტყვებში არ არის, საქმე მოქმედებაშია, მაგრამ აბა განიხილეთ სახალხოელების მოქმედება, თუ იქ ზომიერების მეტს სხვა რასმე ჰქონდეს ადგილი.

ვინ არის ამ პარტიის სახელოვანი დეპუტატი?

— ადამიანი, რომელიც სოციალისტი არასოდეს არ ყოფილა და რომელიც ერთ კვირაში გახდა სოციალისტი. და მერე რათ დასთანხმდნენ სახალხოელები ასეთი ადამიანი აერჩიათ თავის ბაირაღტრად, თავის რწმენის სარკედ?

იმიტომ რომ, მათ არა აქვთ არავითარი პროგრამა, არავითარი პრინციპი. მათთვის სულერთია ვინ შევა ამ პარტიაში წევრად, ვინ გამოვა ამ პარტიიდან ლიდერად. ისინი ხარისხსა და ღირსებას კი არ მისდევენ, არამედ რიცხვს, ამიტომ ყველას თავის პარტიაში უძახებენ; ამას განგებ სჩადიან, ეს არის მათი ნათი ნამდვილი ტაქტიკა და პროგრამა.

მაგრამ ვითომც თვითვე არ იყვნენ დამნაშავენი, გამოდიან და თითონვე ჯავრობენ, ჩვენი პარტია ზომიერ ადამიანებით აივსიათ!

ეს ჩვენ იმ ქურდის ანეკდოტს გვაგონებს, რომელმაც იქურდა და სხვებთან ერთად დაიწყო ყვირილი, არიქა ქურდი დაიჭირეთო!

არ. ჯ—შვილის აზრით ჩვენ არამც თუ არა გვყავს ზომიერი პარტია, არც შეიძლება მისი შექმნა. აი, რას ამბობს იგი:

„პოლიტიკურ პარტიისთვის საჭიროა არა მარტო განსაზღვრული პრინციპები, საჭიროა ერთგვარი პოლიტიკური სკოლის გავლა, პოლიტიკური აღზრდა. ამ მხრივ ჩვენებური ზომიერები ნამდვილი პოლიტიკური ბავშვები არიან“-ო.

კარგი და პატიოსანი! პოლიტიკურ პარტიის შესაქმნელად, რომ ერთგვარი აღზრდაა საჭირო, ამას არც ჩვენა ვყოფთ უარს. მაგრამ საკითხავია, ვინ ლაპარაკობს ამაზედ?

თუ პოლიტიკური პარტიისთვის არის საჭირო აღზრდა, განა ამ პარტიის „ლიდერს“ კი არ ესაჭიროება აღზრდა? მერე რა პოლიტიკურ აღზრდის და სკოლის პატრონია არ. ჯ შვილი, რომ ასეთის რიხით ლაპარაკობს!

როცა სხვასა სთხოვენ სახალხოელები აღზრდის ატესტატს, დროა ამ ჰაბუკ კრეტინსაც მოსთხოვონ იგივე ატესტატი, თუ არა და ისინი მუდამ იმ სირცხვილში და წინააღმდეგობაში იქმნებიან გახვეულნი, ამ კრეტინის [illegible], რომელსაც ეხლავე დავანახვებთ მკითხველს.

იგივე არ. ჯ—შვილი უფრო დიდის რიხით სწერს:

„—ან რა პოლიტიკური აღზრდა უნდა მოეთხოვოს ადამიანებს, რომელთა აზროვნება ახალი კლუბის დარბაზებში იქმნება!“

ოღონდაც!

ჩვენ არ გვეგონა რომ სახალხოელები ასეთ ბრალდებას სხვას წაუყენებდნენ, არ გვეგონა რადგანაც მთელი სახალხოელების ჯგუფი ამ კლუბშია ჩაწერილი და მათი სახელოვანი დეპუტატი ვარლამ გელოვანი ამ კლუბის „სტარშინა“ იყო.

მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ ბატონი არ. ჯ—შვილი მართლაც კრეტინია, რომ მას აკლია არამც თუ პოლიტიკური აღზრდა, არამედ უბრალო გონიერებაც!

პირადათ ჩვენ სრულებითაც არ გვიკვირს, რომ სახალხოელები ახალი კლუბის წევრები არიან. სახალხოელები უმთავრესად ბრწყინვალე თავადები, ბანკის დირექტორები, სხვა და სხვა ექიმები და ადვოკატებისაგან შესდგებიან. ყველა ამათ ბანქოს თამაშიც იციან, ვახშმების გემოცა აქვთ და, ამიტომ, რა გასაკვირველია, კლუბშიაც დადიოდნენ.

მაგრამ რა შუაშია აქ ჟურნალი „კლდე“ ჩვენ რად გვიგებს ბ. არ. ჯ—შვილი ნიშნს, ამას ალბად მის შემდეგ წერილიდგან თუ გავიგებთ.

თურმე **ჩვენ** ვფუსფუსებთ ბანკების და სხვა დაწესებულებათა გარშემო, გავლენის მოსაპოვებლად. ბატონო ა. ჯ—შვილი, ქართული ანდაზა: სვინიდისიც კარგი საქონელიაო, თქვენ უთუოდ რუსულად გესმით „Совѣсть тоже порядочная скотина“, თორემ როგორ დავიჯეროთ ასეთს უსინიდისო ბრალსა გვდებთ და კალამი არ გემტვრევათ სირცხვილისაგან! ეგრე ყმაწვილი და ეგრე უსინიდისო, აღარ გინდათ მომავლისათვის მაინც შეინახოთ სახელი პატიოსანი?

ქ-ნ ჩიტო შარაშიძის ლექციაზედ

წარსულ კვირას ქართულ თეატრში ქ-ნმა შარაშიძემ წაიკითხა ლექცია: „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“. ლექტორმა რამდენიმე საღი და ახალი მოსაზრება წარმოსთქვა საზოგადოთ ქართველობის და კერძოდ ქართველ ქალის გადაგვარებაზედ. უმთავრესი დებულება იყო, რომ ჩვენი ეროვნული გადაგვარება რუსეთის შემოსვლიდან კი არ დაიწყო, არამედ ამ მოვლენას უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვსო

ეი ამ ღირს-წესანიშნავ აზრის დასამტკიცებლად ქალბატონმა შარაშიძემ მეტად ნაკლები მასალა მოგვცა და გადავიდა პირდაპირ სალიტერატურო ქალთა ტიპებზედ. მათი დახასიათება ცალ-ცალკე მეტად ნიჭიერი და მოფიქრებული იყო, მაგრამ მთლიანი სურათი ქართველი ქალის დასახასიათებლად ვერ წარმოგვიდგინა.

როგორც ცდა ქართველი ქალისაგან ლექციის წაკითხვისა, მართლაც ჩინებული იყო, მაგრამ თუ საზოგადო თვალსაზრისით შევხედავთ და, ვსთქვათ, წარმოვიდგენთ, რომ ქალი კი არა, კაცი კითხულობდა,—ლექციას ბევრი რამ აკლდა.

გარდა იმისა, რომ გარეგნულად [illegible] იყო და ლექტორის გამოთქმა აკლდა, შინაარსითაც იგი უფრო კარგად დამუშავებულ სასკოლო „დახასიათებასა“ ჰგვანდა, ვიდრე გარკვეულ მსოფლ-მხედველობის ან შეხედულების გამოაშკარავებას.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით ასეთ კარგ დასაწყისს, რომელსაც, უეჭველია, კარგი შემდეგებიც მოჰყვება, მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ცრუ აღტაცება და გაზვიადება ამ საინტერესო მოვლენისა, არც თვით ლექციის თავდაჭერილ და თავმდაბალ ავტორისათვისაა საჭირო და არც მის მიმდევართა სასარგებლო.

ამას უნდა დაუმატოთ ჩვენი სრული თანაგრძნობა, როგორც საზოგადოთ ეროვნულ აღორძინების მოტივს, წითელი ზოლივით გატარებულს მთელს ლექციაში, ისე იმ იმედიან კილოს, რომლითაც ქ-ნი შარაშიძე მიუთითებდა ამ აღორძინებისაკენ კერძოდ ქართველ ქალს.

რაე.

ველისციხის შემნახ.-გამსყიდ. ამხანაგობის წლიური ანგარიში

ამხანაგობის მოქმედების ფარგლებს შეადგენს ოთხი სოფელი: ველისციხე (850 კომლი), ახალშენი (400 კომლი), ჩუმლაყი (360 კომლი), მუკუზანი (100 კომლი) სულ 1700 კომლით.

ამხანაგობა დაარსდა სექტემბერს 1911 წელს 23 წევრით. 1913 წლის დამდეგს ამხანაგობას ჰყავდა 478 წევრი 41515 მან. ნდობით. 1914 წლის პირველ იანვრისთვის მას ჰყავს 689 წევრი 78880 მანეთის ნდობით (კრედიტით). 1914 წ. პირველ მარტისთვის წევრთა რიცხვი უკვე 875-მდის ავიდა). პირველ იანვრისთვის 1914 წ საკუთარი თანხა ამხანაგობისა ღირდა:

ძირის ფული (პაი) .	5589 მ.	75 კ.
საკუთარი ძირითადი თანხა . . .	850 —	„ —
სათადარიგო თანხა .	450 —	„ —
განსაკუთრებულ დანიშნულებ. თანხა (საკ. შენობის ასაგებად) .	360 —	„ —
	7240 მ.	75 კ.

საანგარიშო ნასესხები თანხა ღირდა:

სახ. ბანკის გრძელ-ვადიანი სესხი . .	5000 მ.	„ კ.
სახ. ბანკის მოკლე ვადიანი სესხი . .	20000 —	„ —
კერძო პირთაგან (საშუამავლო ოპერაცია)	10874 —	20 —
შესანახად შემოტანილი ფული . .	762 —	92
	3663 —	5 —
სულ	43886 მ.	90 კ.

მოგება ამხანაგობისა ულრიდა:

სესხის სარგებელი .	3830 მ.	53 კ.
მოგება საშუამავლო ოპერაციებისა . .	1236 —	23
ხსვა და სხვა მოგება .	4 —	25 —
	5071 —	01 —

გასავალი ამხანაგობისა (ხარჯი):

ჯამაგირი მსახურს .	480 მ.	„ კ.
საქმის წარმოება .	385 —	41
სადგომის ქირა . .	100 —	„ —
დაბრუნებული სარგებელი (ვადამდე შემოტანილ სესხისა) .	144	11 —
სარგებელი გარეშე ფულისა . . .	1268 —	77 —
საშუამავლო ოპერაციების ხარჯი . .	902 —	43 —
	3270 მ.	72 კ.

წმინდა მოგება . .	1800 მ.	29 კ.
რომელიც წლიურ კრებაზედ 18 თებერვალს განაწილდა ამგვარად:		
მიემატა ძირის ფულს	214 —	40 —
საკ. ძირითად თანხას	20 —	„
„ სათადარიგო .	180 —	„ —
საკუთარ შენობის ასაგებად . . .	270 —	„ —
ჯილდოთ საბჭოს და გამგეობის წევრთ .	360 —	„ —
გარდაცვლილ წევრის სესხის დასაფარავად .	16 —	35 —
ქონების ანაზღაურება	39 —	54 —
ს უ ლ	1800 მ.	29 კ.

მოყვანილ ანგარიშებიდგან ნათლად სჩანს, თუ რა მტკიცედ და სწრაფად ვითარდება ეს ამხანაგობა. რა თქმა უნდა ეს აიხსნება იმ გარემოებით რომ ველისციხის ამხანაგობა იმყოფება განსაკუთრებულ კარგ პირობებში, როგორც ბუდე მევენახეობისა და ცენტრი, რომელსაც გარს არტყია 10—23 სოფელი (ალაზნის გაღმა სოფლებით) მეტად განვითარებული ვაჭრობა მრეწველობით. სამწუხაროდ აღსანიშნავია, რომ წევრთა შემადგენლობა უარყოფითია—ბევრს წევრთაგანს ჩარჩული ელფერი აკრავს და იქნება ზოგიერთ შემთხვევაში ამხანაგობა უნებურად ხელსაც უწყობდეს მშრომელი წევრის დაჩაგვრას უფრო ძლიერისგან. მეტად განვითარებულია აქ ყველა დარგის ალებ-მიცემობა და ფული არას დროს არ არის თავისუფალი, რასაც მოწმობს აგრეთვე ის გარემოება, რომ შესანახად შემოტანილ ფულის რაოდენობა მეტად მცირეა დანარჩენ თანხებთან შედარებით.

ვიმეორებთ, რომ ამხანაგების ხელმძღვანელნი შესძლებენ დაუკარგონ ჩარჩული ელფერი ამხანაგობას და ნამდვილ კოოპერატიულ ნიადაგზედ დააყენებენ მის განვითარებას.

ამჟამად ამხანაგობას სათავეში გამოცდილნი და შეგნებულნი პირნი უდგანან, და ხალხიც ნდობით აჯილდოვებს მათ, რაც ნათლად გამოირკვა წლიურ კრებაზედ ბ. ინსპექტორის ვიფორსის თანადასწრებით, მით რომ ყველა წევრები, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ, ხელმეორედ იყვნენ ამორჩეულნი:

გამგეობის თავჯდომარედ—ტერ-ბაგრატ ტერ-ყაზარიანცი.

გამგეობის წევრებად: ლადო მიკირტუმოვი
ალ. ყაზაროვი.

საბჭოს თავმჯდომარედ გიორგი წინამძღვარიშვილი.

საბჭოს წევრებად: გ. ქალანთაროვი
არშაკ ყაზაროვი
წყალობ მანთაშევი.

მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ამხანაგებზედ სესხად გასაცემ ფულის რაოდენობა ნავარაუდევია 35 ათას მანეთზედ მეტი მოგება წლისა ნავარაუდევია 8.600 მანეთი, ხარჯი (აქვე შედის გამგეობის სამი წევრის ჯამაგირი 1440 მანეთი და საბჭოს წევრთა ჯილდო 400 მანეთი) 5600 მანეთი ე. ი. წმინდა მოგება ნავარაუდევია 3000 მანეთი.

აღსანიშნავია, რომ საშუამავლო ოპერაციები ამხანაგობამ მიმდინარე წელს უკვე 18 ათას მანეთად აიყვანა.

გ. წინამძღვრიშვილი.

მ ო წ ო დ ე ბ ა

ეს მეორე წელიწადია, რაც ადგილობრივ ინტელიგენტთა წრის მეცადინეობით, სოფ. ყვარელში (თელავის მაზ.) დაარსებულ იქმნა წიგნთ საცავსამკითხველო სულმნათ ილიას სახელობისა, მისსავე

მამა-პაპეულ სახლშ , რომელშიაც დაიბადა ჩვენი დიდებული მამულიშვილი. წელს ამავე წრემ განიზრახა ეს ფრიად სასურველი დაწესებულება, რომელიც ესოდენ დაკავშირებულია თვით იმ დიდებულ ადამიანის ხსოვნასთან, რომლის სახელობაზეც ის არის დაარსებული, --ჯეროვანად მოაწყვ-განაგოს ყოველის მხრით, რამდენ დაც ეს შესაძლებელი იქნება

რადგანაც ჯერ-ჯერობით თვით წიგნთ-საცავ სამკითხველო ღარიბია, იგი ინახება მხოლოდ საწევრო ფულის შემოსავლით, რაიცა ძლიერ განსაზღვრულ პირობებში აკმაყოფილებს მისსავე აუცილებელ მოთხოვნილებებს; (თუ არ მივიღებთ მხედველობაში წასაბაძს მაგალითს ,,ახალი კლუბის'' გამგეობისას, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა 400 მან. ილიასეულ კოშკის ამ წ.-საცავ სამკითხველოს შენობის შესაკეთებლად.)

ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენში კულტურის აღორძინებისათვის, გამოიღონ თავიანთი წვლილი, რა სახითაც იქნება ის: ფულით, წიგნებისა და ნივთების შემოწირვით, თუ ჟურნალ-გაზეთების დაკვეთით, და ამით საშუალება მოგვცენ, რომ ეს ერთად ერთი მამა-პაპეული ძეგლი ილიასი—საშვილიშვილო განძად გარდავქცნათ იმათთვის, ვისთვისაც ხსოვნა იმ ადამიანისა არის და იქნება, ცხოველ-მყოფელი და ფასდაუდებელი.

ყოველ გვარი შემოწირულობა დიდის მადლობით იქმნება მიღებული, და თავის დროზე გაზეთშიაც გამოცხადდება.

ვსთხოვთ სხვა ჟურნალ-გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

ევარდის ილიას სახელობის წ.-საცავ სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე:

კნ. ელენე ჭავჭავაძისა.

P S. შემოწირულობა შეიძლება გამოიგზავნოს სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარის სახელზე თელავში.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

1894 წლიდან **1914** წლამდის

საუკეთესო ლვინოდ ითვლება ლვინო

საზოგადოება „**კახეთი**“-სა

ტელეფონი:
№ **73** და **3—51.**

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.